კოლხური ხოხობი

გაიხსენე ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ. როგორ ნადირობდნენ ძველად ხოხობზე? წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რით არის გამორჩეული ეს ფრინველი?

კოლხური ხოხობი უძველესი დროიდან არის ცნობილი. იგი ბევრი იყო რიონის, მტკვრის, ალაზნის ჭალებში. პირველად ხოხობმა ბერძენი ზღვაოსნების ყურადღება მიიქცია. მათ ფრინველი მდინარე ფაზისის ახლოს **შენიშნეს.** მაშინ ასე ერქვა მდინარე რიონს. სწორედ ამიტომ შეურჩიეს კოლხურ ხოხობს სახელად „ფაზისის ფრინველი“. როცა მათ კოლხეთი დატოვეს, ხოხობიც თან გაიყოლეს. ეს მოხდა ძალიან დიდი ხნის წინ. ასე მოედო კოლხური ხოხობი ევროპის ტყეებსა და **ჭალებს**. ბევრ ევროპულ ენაში მას დღემდე „ფაზისის ფრინველი“ ჰქვია.

ხოხობი ძალიან ლამაზია. მამალი ხოხობი ჭრელია. აქვს გრძელი კუდი. დედალი კი რუხი ფერისაა. ხოხობი ბუდეს მიწაზე იკეთებს. ამისთვის ხმელ ფოთლებსა და ბალახს იყენებს. დებს 8-12 კვერცხს. ხოხობს ფრენა არ შეუძლია. თუმცა მტრის დანახვის დროს სწრაფად გარბის. იგი იკვებება **სარეველა** მცენარის თესლით, ნაყოფით. ასევე – **მავნე** მწერებით. ამიტომაც არის ხოხობი სასარგებლო ფრინველი.

უძველესი დროიდან დღემდე ბევრს მოსწონს ხოხობზე ნადირობა. ამის გამო მათი რიცხვი საკმაოდ შემცირდა. ბოლო დროს ხოხბების მოშენება ფერმებში დაიწყეს. მათ დიდ ნაწილს ისევ ბუნებაში უშვებენ. ასე რომ, ამ გზით პრობლემა თანდათან გვარდება. ხოხბების რიცხვი სულ უფრო მეტად იზრდება.

რომელია შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია? რატომ?

კომპონენტი: *პრობლემის გადაჭრა*, **დონე:** *3.1*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის პირველ აბზაცში ჩანს:

ა) რა მიზნით ჩავიდნენ ბერძენი ზღვაოსნები კოლხეთში.

ბ) რატომ უწოდეს ევროპელებმა ხოხობს „ფაზისის ფრინველი“.

გ) რით მიიქცია ხოხობმა ბერძენი ზღვაოსნების ყურადღება.

2 ხოხობი სასარგებლო ფრინველია, რადგან:

ა) ბუდეს ხმელი ფოთლებისაგან იშენებს.

ბ) ის ჭალებსა და ტყეებშია გავრცელებული.

გ) სარეველა მცენარეების თესლით იკვებება.

3 ხოხბების რაოდენობის შემცირება გამოიწვია იმან, რომ:

ა) ხოხბებზე ნადირობა დღემდე დასაშვებია.

ბ) ხოხბები ბუდეებს მიწაზე იკეთებენ.

გ) ხოხბები მხოლოდ 8-12 კვერცხს დებენ.

4 ხოხბების რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო იმან, რომ:

ა) ხოხბებზე ნადირობა აკრძალეს.

ბ) ხოხბები ევროპაში გაიყვანეს.

გ) ხოხბების ფერმები ააშენეს.

5 ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს, რომ:

ა) მამალი ხოხობი დედალზე უფრო ჭრელია.

ბ) ხოხობი ბევრი ადამიანის ეზოს ალამაზებს.

გ) ხოხობი საქართველოდან გავრცელდა ევროპაში.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობები.

1. ბერძნებმა ხოხობი ფაზისის ახლოს **შენიშნეს**.

   ა) დაიჭირეს. ბ) იპოვეს. გ) შეამჩნიეს.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი განმარტებები.

1. სარეველა	ზიანის მომტანი.
2. მავნე	ვაკე ადგილი მდინარის პირას.
3. ჭალა	ველური მცენარე, რომელიც სხვა მცენარის ზრდას უშლის ხელს.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. გაიყოლა	გავრცელდა
2. მოედო	გაამრავლა
3. მოაშენა	წაიყვანა

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ლამაზი – ჭრელი. ბ) სწრაფი – ჩქარი. გ) უძველესი – უახლესი.

გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

ძველად მდინარე რიონს (*ფაზისი*) ---------- უწოდებდნენ.

2 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მრავლობით რიცხვში.

1. (*ხოხობი*) ---------- ლამაზი ფრინველები არიან.

2. ეს (*ბუდე*) ---------- მიწაზე არის გაკეთებული.

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ხოხბების რაოდენობა გაიზარდა, ---------- მისი მოშენება დაიწყეს. ***(რადგან / რათა)***

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

[X] ბევრს მოსწონთ.	[ ] ბევრს მოსწონს.
1. [ ] ბევრ ენაში.	[ ] ბევრ ენებში.
2. [ ] ადვილათ.	[ ] ადვილად.
3. [ ] ძველი დროიდან.	[ ] ძველ დროიდან.

5 დაწერე სიტყვები ისეთი თანამიმდევრობით, რომ წინადადება მიიღო.

ხოხბების შემცირდა ნადირობის რაოდენობა საკმაოდ გამო

წერა

1 დაწერე ტექსტის მიხედვით: როგორ აღმოჩნდა კოლხური ხოხობი ევროპის ჭალებში და როგორ შეურჩიეს მას სახელი.

---

2 წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი ხოხობი საუბრობს ხოხბების პრობლემების შესახებ. დაწერე მისი ნაამბობი პირველ პირში. გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

შეგიძლია დაიწყოთ ასე: *ჩვენ, ხოხბები, უძველესი დროიდან ვცხოვრობთ საქართველოში. ჩვენზე ნადირობა ძალიან პოპულარული იყო, ამიტომ ...*